

დამატებითი პირობები
 მყიდველის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე

ქ. თბილისი, თარიღი ---- / ----- / 20-- წ.

1	მყიდველი გამყიდველს ანიჭებს უპირობო უფლებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მიზნებისთვის და მათ განსახორციელებლად, მყიდველის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე:
1.1	მყიდველის მიერ ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შესახებ ინფორმაცია (თუ ვადაგადაცილება საყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში შეადგენს 30 დღეს, ხოლო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში - 60 დღეს) გადასცეს საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროებს (შემდგომში - დაწესებულებები). გადაცემას ექვემდებარება შემდეგი ინფორმაცია: სახელი, გვარი/საფირმო სახელწოდება, პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი, საპასპორტო/პირადობის მოწმობის მონაცემები, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის საიდენტიფიკაციო/პირადი მონაცემები, გადახდების ვადები და დავალიანების ნაშთი (დარიცხულ პირგასამტეხლოს და სხვა საჯარიმო სანქციების ჩათვლით); ასევე, შესაძლო დებიტორულ დავალიანებაზე მყიდველთან გასაფორმებელი რესტრუქტურის ხელშეკრულების პირობებისა და რისკების განსაზღვრა/შეფასების მიზნით, მოიძიოს, მიიღოს, გაეცნოს და გამოიყენოს აღნიშნულ დაწესებულებების მონაცემთა ბაზებში აღრიცხულ ინფორმაციას მყიდველის შესახებ ამ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად; ასევე მისცეს თანხმობა აღნიშნულ დაწესებულებებს გამყიდველისაგან მიწოდებული მყიდველის შესახებ ინფორმაცია გადასცენ მესამე პირებს, იმ პირობით, რომ მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირებისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან ამ დაწესებულებებს მსგავსი ხასიათის მონაცემებს.
1.2	იმ მიზნებისათვის, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სააბონენტო/საბილინგო ანგარიშის მართვით, გაყიდული ელექტროენერჯის საფასურის დაანგარიშებით და ანგარიშის შედგენით, მოკრებით, მარკეტინგული კვლევით, პროდუქტების ან მომსახურების განვითარებით, აბონენტთა მომსახურებით ან სხვა, გამყიდველის მიერ განსაზღვრულ მიზნით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, მყიდველის შესახებ გამყიდველის აბონენტთა ერთიან მონაცემთა ბაზაში (ბილინგის ბაზა) დაცული ინფორმაცია დამუშავების მიზნით გადასცეს აფილირებულ პირებს, კოლექტორულ ფირმებს, აუდიტორებს, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის მიმღები პირები დაიცავენ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.

ელექტროენერჯის მყიდველის ხელმოწერა: _____

ელექტროენერჯის გამყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

” _____ “ _____ 20__ წ.